საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030118986464619

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/15422 **02 / სექტემბერი / 2019 წ.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

ასლი: სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსს“

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოვიდა სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ NEVEX-OUT-19-0131-01 წერილი, რომელიც შეეხება ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (შემდგომში „გამყიდველი“), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) და მეორე მხრივ, შპს „უნიმედი აჭარას“ (უფლებამონაცვლე - სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ 2018 წლის 3 დეკემბრიდან) (შემდგომში „მყიდველი“) შორის 2011 წლის 11 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადასტურების საკითხს.

წერილში მოთხოვნილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შესრულების დადასტურება. წერილს დანართის სახით ახლავს შპს „ნექსია თივი“-ს დასკვნა ბაზისური სერვისების სრული და ჯეროვანი შესრულების თაობაზე. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რაიონებში ბაზისური სერვისების შესრულების შესახებ ინფორმაცია გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან 2015 წლის 31 მაისამდე, უკვე მოგეწოდათ 2015 წლის 2 ივნისის N01/39109 წერილით. ამჟამად წარმოგიდგენთ ბაზისური სერვისების უწვეტობის ვალდებულების შესრულების შესახებ ინფორმაციას 2015 წლის 1 ივნისიდან 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით.

როგორც მოგეხსენებათ, 2011 წლის 11 ნოემბერს, ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (“გამყიდველი“), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს („სამინისტრო“) და მეორე მხრივ, შპს „უნიმედი აჭარას“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მყიდველს სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცა ხელშეკრულებით (დანართი 1.1. და 1.2) განსაზღვრული მოძრავი ქონება. ამასთან, დანართი 1.2 -ით განსაზღვრული ქონება გადაეცა ხელშეკრულების 3.1.7 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, რაც გულისხმობდა ,,ხულოს, შუახევის, ქედას და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, უზრუნველყოს დანართი № 3-ით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან 7 წლის განმავლობაში და დანართი №2-ში განსაზღვრული სპეციფიური პირობების გათვალისწინებით და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით“.

ხელშეკრულების ტერმინთა განმარტების თანახმად, „გადამავალი პერიოდი“ განსაზღვრულია როგორც 2011 წლის 29 ნოემბრიდან „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე. ამ უკანასკნელის თანახმად, კონკურსში გამარჯვებული სადაზღვევო კომპანია/ამხანაგობა ვალდებულია, დადგენილ ვადაში დაასრულოს სამედიცინო რაიონში დაგეგმილი საავადმყოფო. საავადმყოფოს მშენებლობის ვადად განისაზღვრა: ბათუმში, ქობულეთსა და ხულოში 2013 წლის 31 იანვარი, ხოლო დანარჩენ რაიონებში 2011 წლის 1 დეკემბერი.

ტერმინთა განმარტებაშივე მითითებულია: ,,ბაზისური სამედიცინო სერვისების უზრუნველყოფა - გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან 7 წლის განმავლობაში დარნართი № 3-ით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება.“

2011 წლის 11 ნოემბერს ერთი მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტის თანახმად, ,,ხელშეკრულების 3.1.7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ,,სამინისტროს“ მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე ,,გამყიდველის“ მიერ მათი დადასტურების მომენტიდან. ,,სამინისტრო“ ვალდებულებების შესრულების შესახებ დასკვნას ,,გამყიდველს“ წარუდგენს იმ შემთხვევაშიც, თუ ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გამოვლინდა სერვისების ალტერნატიული მიმწოდებელი, ამავე მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების მოქმედების პერიოდის განმავლობაში“.

იმისათვის, რომ ვალდებულებით განსაზღვრული სერვისების მიწოდება ჩაითვალოს შესრულებულად, სერვისის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით განსაზღვრული ბაზისური სერვისების წარმოების ვადის ფარგლებში, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) პირველ რიგში, უნდა გააჩნდეს განსაზღვრული სერვისის წარმოების უფლება, რისთვისაც, სამედიცინო საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს: ან სტაციონარული დაწესებულების ნებართვა და თუ საჭიროა, შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სანებართვო დანართი; ან საქმიანობის ლიცენზია; ან შეტყობინება მაღალი რისკის შემცველი ამბულატორიული საქმიანობის წარმოების თაობაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბაზისური სერვისებიდან, შესაძლებელია, ზოგიერთი სერვისების წარმოება არ მოითხოვდეს ლიცენზიის/ნებართვის ან შეტყობინების არსებობას.

როდესაც ჩვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში აღნიშნულია ლიცენზიის, სტაციონარული ნებართვისა და ნებართვის დანართის ან მაღალი რისკის ამბულატორიულ საქმიანობაზე შეტყობინების არარსებობა, ნიშნავს, რომ სერვისის მიმწოდებელს (,,მყიდველს“) ვალდებულების შესასრულებლად სჭირდებოდა შესაბამისი უფლების ქონა, მაგრამ სამინისტროს უფლებამოსილი უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით არ დასტურდება „მყიდველის“ მიერ შესაბამისი ბაზისური სერვისის შესრულების ის ლეგალური საფუძვლები, რაც უკავშირდება კონკრეტული ბაზისური სერვისის წარმოების უფლებას.

ბ) სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, უწყვეტად უნდა ახდენდეს ბაზისური სერვისების ნუსხით გათვალისწინებულ მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულებაში მითითებულ მუნიციპალიტეტ(ებ)ში.

როდესაც ჩვენს საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელ უწყებებში არ ფიქსირდება ინფორმაცია სერვისის მიმწოდებლის (,,მყიდველი“) მიერ ბაზისური სერვისების შესრულების შესახებ საანგარიშო პერიოდში, ეს ნიშნავს, რომ სამინისტროს არ შეუძლია დაადასტუროს„მყიდველის“ მიერ შესაბამისი ბაზისური სერვისის მიწოდების ვალდებულების შესრულება აღნიშნულ პერიოდში, მიუხედავად იმისა, ფლობდა თუ არა იგი საქმიანობის წარმოების უფლებას.

,,სამედიცინო ტრანსპორტირებას და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება“

საქმიანობის უფლება: შპს "უნიმედი აჭარა" "სასწრაფო სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიას" ფლობდა 2011 წლის 30 ნოემბრიდან მისამართზე: ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N121 ბ (ფილიალები: ქედა, შუახევი, ხულო - 2011 წლის 2 დეკემბერი), რომელიც გაუქმა 2013 წლის 5 თებერვალს. 2013 წლის 1 თებერვლიდან ლიცენზია მოიპოვა მისამართზე: ქედა, რუსთაველის ქუჩა N14 (ფილიალები: ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; შუახევი, რუსთაველის ქუჩა N32; ხულო, დავით აღმაშენებლის ქუჩა N1), რომელიც გაუქმდა 2014 წლის 25 ნოემბერს. შპს „უნიმედი აჭარას“ სასწრაფო სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლება გააჩნდა 2011 წლის 30 ნოემბრიდან 2014 წლის 25 ნოემბრამდე.

სახელმწიფო პროგრამა:საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილების შესაბამისად შექმნილი ,,სამედიცინო რაიონების მიხედვით ვაუჩერის ფასის დადგენის, მზღვეველი კომპანიის გამოვლენისა და კონკურსის შედეგად გამოვლენილი მზღვეველის ან ამხანაგობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისა და ასევე, პროგრამის ზედამხედველობის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის“ 2013 წლის 28 დეკემბრის № 13 სხდომის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ სახელმწიფო დახმარების სერვისის სახელმწიფო მართვაში გადაცემის თაობაზე (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის №89 დადგენილება) და 2014 წლის 1 აპრილიდან შპს „უნიმედი აჭარა“ აღარ ფიქსირდება ,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ პროგრამის ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ კომპონენტის მიმწოდებლად.

„სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზიით“ გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება სახელმწიფოს მიერ, კერძოდ, პაციენტისათვის შესაბამისი სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და საჭიროების შემთხვევაში, პაციენტის სტაციონარში ტრანსპორტირება, რა თქმა უნდა, არ ათავისუფლებს სამედიცინო დაწესებულებას ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებისაგან - სტაციონარიდან (რეფერალური შემთხვევის) სამედიცინო ტრანსპორტირება.

შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის - ,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ პროგრამის ,,სამედიცინო ტრანსპორტირების“ კომპონენტის ფარგლებში, მიმწოდებელთა ჩამონათვალში არ ფიქსირდება შპს ,,უნიმედი აჭარის“ მიერ გაწეული მომსახურება

გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან ანგარიშგების თარიღამდე (3.12.2018). თუმცა, 2015 წლის მარტიდან საანგარიშგებო თარიღამდე (3.12.2018), აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში „სამედიცინო ტრანსპორტირების“ გამოძახებების ნაწილს უკვე ახორციელებს შპს „კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი“ (ლიცენზია N002146 09.08.2013). 2015 წლის 10 მარტიდან აღნიშნული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა გიორგი მინდიაშვილი (სს სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ დირექტორი), ხოლო 2015 წლის აგვისტოდან მისი 100%-იანი წლის მფლობელია სს სამედიცინო კორპორაცია ,,ევექსი“, რომელიც ასევე შპს „უნიმედი აჭარას“ 100%-იანი წილის მფლობელი კომპანიაა.

,,უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობა“.

საქმიანობის უფლება: სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ინფორმაციით, სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართს ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის არ ფლობს შპს ,,უნიმედი აჭარას“ არც ერთი სამედიცინო დაწესებულება (ქობულეთში მდებარე სამედიცინო დაწესებულება ფლობდა 31.12.2010-08.05.2013 პერიოდში).

შეტყობინება ამბულატორიულად განხორციელებული ინფექციური საქმიანობის თაობაზე წარმოდგენილი არ აქვს შპს ,,უნიმედი აჭარას“ ქედას სამედიცინო დაწესებულებას. ქობულეთის სამედიცინო დაწესებულებაში საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებით შეტყობინება წარმოდგენილი იქნა 27.03.2013 (სანებართვო დანართის ჩაბარების შემდეგ). შუახევის მუნიციპალიტეტში შეტყობინება გაკეთდა 27.03.2014 წელს და გაუქმდა იმავე წლის 13 ოქტომბერს, 2018 წლის 3 დეკემბერს კი კვლავ გააკეთა შეტყობინება. ხულოს მუნიციპალიტეტში სამედიცინო დაწესებულებას ამავე საქმიანობაზე შეტყობინება გაკეთებული აქვს 2013 წლის 24 იანვიდან.

სახელმწიფო პროგრამა: შპს ,,უნიმედი აჭარას“ ხულოს, შუახევის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში არსებული სამედიცინო ცენტრები 2015 წლის 1 ივნისიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არ ფიქსირდება ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლად, ხოლო 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 3 დეკემბრამდე არ მონაწილეობდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ინფექციური დაავადებების კომპონენტის განხორციელებაში.

ასევე, შპს „უნიმედი აჭარა“ ხულოს, შუახევის და ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 3 დეკემბრამდე ვერც ამბულატორიული საქმიანობის მიმართულებით ახორციელებდა შესაბამის სერვისებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გეგმიურ ამბულატორიული მომსახურების კომპონენტში, რადგან აღნიშნულ პერიოდში საყოველთაო ჯანდაცვის გეგმური ამბულატორიის კომპონენტი შესაბამისი ბენეფიციარებისთვის აღარ ითვალისწინებდა ინფექციონისტთან ვიზიტს.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური